



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით

21 მარტი, 2019 წელი

ქ.

თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია**  
მოსამართლე ნათია ბუსკაძე

**მოსარჩელები (შუამდგომლობის ავტორები):** ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა;  
ნატო სუბარი; ლილე ჩხეტიანი

**მოპასუხე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
**დავის საგანი** - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

**შუამდგომლობა:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის  
მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედების შეჩერება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას,  
ნატო სუბარისა და ლილე ჩხეტიანის შუამდგომლობა საქართველოს გარემოს  
დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110  
ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2019 წლის 19 მარტს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ, ნატო სუბარმა და ლილე  
ჩხეტიანმა სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა  
და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა  
ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე  
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების  
ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ასევე იშუამდგომლა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედების შეჩერება სასამართლოში დავის საბოლოო დასრულებამდე.

მოსარჩელეთა განმარტებით, განსახილველი დავა შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბურის და ნაკრას თემების ტერიტორიებზე, სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ დაგეგმილ 280 მგ.ვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა, წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას გარემოსდაცვითი საკითხები, მათ შორის ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარების შედეგად ადგილობრივი სოციალური და ეკოლოგიური გარემოს დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მეორე და მესამე მოსარჩელები ნატო სუბარი და ლილე ჩხეტიანი წარმოადგენენ უშუალოდ იმ თემის (ჭუბურის თემი) მაცხოვრებლებს, სადაც დაგეგმილია საპროექტო სამუშაოები.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ 2019 წლის 4 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N2-110 „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“. ბრძანების თანახმად, მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მოსარჩელეთა განმარტებით, სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი ანგარიშის თანახმად, დაგეგმილმა ნენსკრა ჰესის პროექტმა, რომელზეც 2015 წლის ოქტომბერში გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, განიცადა მნიშვნელოვანი ტექნიკური, ტექნოლოგიური და რაც მთავარია, ადგილმდებარეობის ცვლილებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნენსკრა ჰესის პარამეტრების ცვლილებასთან ერთად, საპროექტო არეალში და მთლიანად ჭუბურის ხეობაში, 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, შეცვლილია ბუნებრივი და სოციალური გარემოც. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ ეს გარემოება არ იყო ასახული სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილ ანგარიშში. მოსარჩელები განმარტავენ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას; ვინაიდან, მიუხედავად იგივე სახელწოდებისა,

განსახილველად წარდგენილი იყო ახალი პროექტი (განსხვავებული ტექნიკური გადაწყვეტით, შეცვლილი მდებარეობით და შეცვლილი გარემო პირობებით), რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართით განსაზღვრულ საქმიანობას (2 მეგავატი და მეტი).

მოსარჩელები ასევე მიუთითებენ, რომ მათ ძირითად მიზანს წარმოადგენს დაიცვან სვანეთის უნიკალური გარემო, კერძოდ კი, მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის და ნაკრას თემების ტერიტორიები იქ არსებული ეკოლოგიური და სოციალური გარემო უკანონო ჩარევისგან და ისეთი საქმიანობის განხორციელებისგან, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს იქ არსებულ გარემოს. კერძოდ კი, მოსარჩელეთა განმარტებით, სამინისტრომ სადავო აქტით დასაშვები გახადა V კლასის 280 მგ.კტ. ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანმდევი კვლევების გარეშე. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ განახლებული გზა-სა და შესაბამისი განახლებული შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობა არსებითად გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ჰესის მშენებლობის პირობებში იქ არსებულ გარემოს, რამდენადაც სადავო აქტის გამო არ არსებობს მესამე პირის საქმიანობის გარემოსდაცვის მიმართულებით შემზღუდავი და საზოგადოებისთვის განჭვრეტადი დოკუმენტი.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში სადავო აქტის მოქმედების შეჩერება შედის როგორც მოსარჩელის, ასევე სახელმწიფოსა და მესამე პირის ინტერესებშიც. კერძოდ, ამ ეტაპისთვის მესამე პირს სს „ნენსკრა ჰიდროს“ არ გააჩნია მშენებლობის ნებართვა სკრინინგის ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს აქტის მოქმედება არ შეჩერდება, მესამე პირს შესაძლებლობა ექნება მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა და განახორციელოს V კლასის სამშენებლო ობიექტის სამუშაოები, ყოველგვარი გარემოსდაცვითი კვლევებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გარეშე. სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში სადავო აქტების მოქმედების შეჩერება, კი მოახდენს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების პრევენცირებას და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სადავო აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მესამე პირი თავიდან აირიდებს უსაფუძვლოდ გაღებულ ხარჯებს, ხოლო სახელმწიფო, მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის შესაძლო ანაზღაურების ვალდებულებას.

მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ თუ სასამართლოს მიერ სადავო აქტის მოქმედება არ შეჩერდება, მითითებულ დავასთან დაკავშირებით სასამართლო დავა გახდება მთლიანად ილუზორული, რამდენადაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში დადგება ის შედეგი რის პრევენციის მიზანსაც ისახავს მოსარჩელე მხარე მითითებული სარჩელის აღძვრით, შესაბამისად იმ პირობებშიც კი თუ მომავალში სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება

შეუძლებელი გახდება მისი აღსრულება, რამდენადაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში ვერანაირი მარეაბილიტირებელი/სადემონტაჟო და ა.შ ღონისძიება ვერ შეძლებს გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

**სასამართლო გაეცნო სარჩელს, წარმოდგენილ შუამდგომლობას გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე და მიაჩნია, რომ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, ნატო სუბარისა და ლილე ჩხეტიანის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:**

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. აღნიშნული ნორმა გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე ნორმის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება ხდება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი, ითხოვს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედების შეჩერებას, რომლითაც მინისტრმა მიიღო სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განეკუთვნება შესაჩერებელი ადმინისტრაციული აქტების ჯგუფს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

ამდენად, სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით კანონმდებელი ადგენს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საფუძვლებს. იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნეს ისეთი ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რომელიც მოქცეულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში და სარჩელის წარმოებაში მიღებასთან ერთად ავტომატურად არ ჩერდება, მხარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული შუამდგომლობა სადავო აქტის უკანონობისა ან/და პირის კანონიერი უფლების დარღვევის შესახებ, ან უნდა წარმოიშვას დასაბუთებული ეჭვი, რომ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს და შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის შემდომში დაცვას. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქტის საფუძველზე განსახორციელებელი ქმედებებით მოსარჩელისათვის არსებითი ზიანის მიყენების ან მისი კანონიერი უფლება-ინტერესის დაცვის შეუძლებლობის ფაქტი სასამართლომ უნდა შეაფასოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობისა და კანონის უზენაესობის დაცვის გათვალისწინებით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებანი, არ ქმნის საფუძველს შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ეჭვის დასაბუთებულობის დადგენა, ხოლო სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, ნატო სუბარისა და ლილე ჩხეტიანის შუამდგომლობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა) მხარეთათვის მისი ასლის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

**მოსამართლე**

**ნათია ბუსკაძე**